დანართი 1:

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N 39/41ა/41ბ/43-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს/კ: 05.24.03.021; 05.24.03.027; 05.24.03.038; 05.24.03.869; 05.24.03.012; 05.24.03.871; 05.24.03.030) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცებისათვის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში მიმდინარეობს წარმოება შპს ,,გუმბათი დაუნთაუნის“ (ს/N 437078706) 2025 წლის 17 აპრილის 10/142510744-14 განცხადების საფუძველზე, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N39/41ა/41ბ/43-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:05.24.03.021; 05.24.03.027; 05.24.03.038; 05.24.03.012; 05.24.03.871; 05.24.03.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე.

გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 7400,00 კვ.მ-ს, მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს, საერთო ფართობით 5245,00 კვ.მ, გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 3,5-დან 17,0-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა.

განაშენიანების დეტალური გეგმა ატვირთულია დანართის სახით, დაინტერესებულ პირებს გაქვთ შესაძლებლობა გაეცნოთ და წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები, როგორც წერილობითი ფორმით საჯარო განხილვამდე, ასევე დააფიქსიროთ საჯარო განხილვის დღეს.

განაშენიანების დეტალურ გეგმასთან დაკავშირებით საჯარო განხილვის ორგანიზება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს და აღნიშნულ წარმოებაზე საჯარო განხილვა გაიმართოს 2025 წლის 10 ივლისს 11 სთ-ზე.